ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 11-57

“10” ივნისი 2022 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 05/10/2020, სარეგისტრაციო კოდი: 400020010.35.101.016782) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის“ (დანართი №1) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,დ“, ,,ე“, ,,ვ“ და „ზ“ქვეპუნქტები:

„დ) მესამე სარტყლის I არეალში ტერიტორიის განვითარება განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში დასაშვებია მხოლოდ სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით, გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა. საპროექტო არეალის მინიმალური ფართობი უნდა შეადგენდეს 50 000 m^2-ს, რომლის 70% უნდა მოიცავდეს სარეკრეაციო სივრცეს;

ე) ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში საპროექტო ტერიტორია შეიძლება მოიცავდეს სახელმწიფო/მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს არაუმეტეს 10%-ისა;

ვ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სასმელი წყლის დაბინძურების პრევენციული ღონისძიებები შესაბამისი თანმიმდევრობით, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს შესაბამის უწყებასთან.

ზ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასმელი წყლის დაბინძურების პრევენციული ღონისძიებები უნდა გატარდეს მშენებლობის უფლების მიღებამდე იმ თანმიმდევრობით რომელიც შეთანხმებულია შესაბამის უწყებასთან.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**